THE WORLD OF CONSTANT CONNECTION 1(13).2002

## კავშირის სამყარო

**მოტოროლა აკომპლი**
საქმიანი ადამიანის მეგზური

**მოქმედი გმირნი და შემსრულებელი**
ოთარ მეღვინეთუხუცესი 70

**მობილური კავშირგაბმულობა უსაფრთხოა**

**მე „მანგეირა" ვარ!**






00 ან +

connection with the world კავშირი მსოფლიოსთან

# მხატვრის სახელოსნოში

მერაბ აბრამიშვილი



მერაბ აბრამიშვილი იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში სწავლობდა, მაგრამ მისთვის ოსტატობის ნამდვილ სკოლად იქცა ცნობილი ქართველი მხატვრის, ალექსანდრე ბანძელაძის კერძო სტუდია. მერაბი დღესაც მადლიერებით იხსენებს იქ გატარებულ წლებს, რადგან ბატონი ალექსანდრე, არა მხოლოდ დიდებული პედაგოგი, არამედ მრავალი ღირსებით დაჯილდოებული პიროვნება იყო.

# IN THE PAINTER'S STUDIO

**Merab Abramishvili**

He started painting in early childhood. He studied at the Iacob Nikoladze Art College, but it was Alexandre (Shura) Bandzeladze's private studio that became for him the real school of artistic mastery. To this day, Merab recalls the years spent there with immense gratitude. This is because Mr. Alexandre was not only an outstanding teacher, but also a man endowed with many virtues.



როგორც პროფესიონალი მხატვარი, 80-იან წლებში ჩამოყალიბდა (1981 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გრაფიკის განყოფილება). პირველი მნიშვნელოვანი ნამუშევარი - „სამასი არაგველი" - 1987 წელს შექმნა.

**The eighties were Merab's formative years as a professional painter. In 1981, he graduated from Tbilisi State Academy of Art, the Faculty of Drawing. In 1987, he made his first significant work "The Three Hundred Aragvians".**

დაზგურ მხატვრობაში, შუასაუკუნეების ფრესკისთვის დამახასიათებელი ხატოვანების მისაღწევად, იგი იყენებს იმავე ეპოქაში გავრცელებულ ლევკასის ტექნიკას.

**In order to attain the artistic expressiveness of medieval easel painting, he applies the Leukas technique which was developed in the same epoch and was used in fresco painting.**

ჭაბუკობის ასაკში მხატვრის პიროვნების, აზროვნების ფორმირებაზე, უდიდესი გავლენა იქონია ატენის სიონის ფრესკების შესასწავლად მოწყობილ სამეცნიერო ექსპედიციებში მონაწილეობამ. ექსპედიციას მერაბის მამა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ბატონი გურამ აბრამიშვილი ხელმძღვანელობდა.

მერაბ აბრამიშვილი ჯერ სულ ყმაწვილი იყო, როდესაც ატენის სიონის ფრესკების ასლების ხატვა დაიწყო და ამ სამუშაოს გატაცებით ასრულებდა წლების მანძილზე.

**In his youth, Merab took part in scientific expeditions organised to study the Ateni Sioni frescoes. These expeditions headed by Merab's father, Dr. Guram Abramishvili, an art historian and doctor of Philosophy strongly influenced the formation of his personality and thinking.**

**Merab Abramishvili was very young when he first started painting the copies of the frescoes of the Ateni Sioni Monastery and it was with enormous enthusiasm and passion that he continued this work for many years.**





ლევკასის ტექნიკით შესრულებული ნამუშევარი სრულდება ხეზე, რომელიც თავდაპირველად ცარცისა და ხის წებოს გრუნტით იფარება. შემდეგ მხატვარი ტემპერას საღებავებით ასრულებს საწყის ჩანახატს, რომელსაც ნაწილობრივ ჩამორეცხავს და შემდეგ ისევ თავიდან ასრულებს ძირითად ნახატს. საბოლოოდ სურათის ზედაპირი კვერცხის გულით იფარება. ამ საკმაოდ რთული და შრომატევადი ტექნიკით შესრულებული ნამუშევარი ფრესკის ასოციაციას ქმნის.

**The Leukas technique is applied on wood which is first covered with chalk and a resin priming. After that the painter makes the initial drawing with tempera paints which is then partially watered down, and afterwards is the main work done. At the very end, the surface of the picture is covered with egg-yolk. Thus, a work executed by means of this quite complicated and laborious method creates the association of a fresco.**

კედლის მხატვრობის ზედმიწევნით შესწავლამ განაპირობა ის, რომ მხატვრის შემოქმედება, მნიშვნელოვანწილად, რელიგიურ თემატიკას უკავშირდება. „საიუდუმლო სერობა", „ხარება", „დატირება", „ჯვარცმა", „გაბრიელი", „დილის ანგელოზები", „ამაღლება", „აპოკალიფსისი" - ეს ის თემებია, რომელსაც მუდმივად უბრუნდება მხატვარი.

**A thorough study of the Ateni Sioni wall paintings has determined the predominance of religious themes in the painter's artistic creations. "The Last Supper", "Annunciation", "Mourning", "Crucifixion", "Gabriel", "The Morning Angels", "Resurrection", "Apocalypse" – these are the themes that the painter repeatedly returns to in his work.**

ქართული ფრესკის სიყვარულთან ერთად, მერაბ აბრამიშვილის შემოქმედებაში ჩანს აღმოსავლური დეკორატიული ხელოვნების მოტივებით გატაცება.

*„ჩემი შემოქმედების რაღაც ეტაპზე შემეცვალა მხატვრული აზროვნება, ფერთა სიმრავლე მომთხოვა და დავიწყე აღმოსავლური (სპარსული) მინიატურის შესწავლა"* - ამბობს მხატვარი.

იგი ამ მოტივების ინტერპრეტაციით ქმნის ნამუშევრებს: „შაჰ-აბასი", „აბრეშუმის გზა", „ხარაკირი", „ჰარამხანა"...



**Along with the love for Georgian frescoes, the motifs of oriental decorative art are also prevalent in Merab Abramishvili's works.**

***"At a certain stage of my creative development, my artistic thinking changed, demanding from me an abundance of colour. So I began to study the eastern (Persian) miniatures,"*** **the painter says.**

**He created his next series of works based on the interpretation of these motifs: "Shah Abbas", "The Silk Road", "Kharakiri", "Harem"...**



*„ბავშვობაში ლომების მომთვინიერებელი მინდოდა გამოვსულიყავი და ძაღლების მეშინოდა",* - იხსენებს მხატვარი. სიყმაწვილეში იგი გატაცებული იყო ჯიმ კორბეტის, ჯონ ტენერის და სხვათა დოკუმენტური ნაწარმოებებით ნადირობაზე. ამის გამოძახილია ანიმალისტური თემატიკის სიუხვე მის შემოქმედებაში. „კუმაონის კაციჭამია", „რუდრაპრაიაგის ავაზა", „კონდორი", „ჟირაფი", „ლომი", „ირმები" - ლიტერატურული შთაბეჭდილებების სახვითი სახეებია.

***"In my childhood, I wished to become a lion-tamer, yet I was afraid of dogs!"*, recalls the painter. In his youth, the painter was fascinated by the documentary works on hunting by Jim Corbet, Karl Hagenbeck, John Tener and others. The abundance of animal themes in his work echoes this passion - "A Cannibal from Kumaon", "Rudrapraiag panther", "Condor", "Giraffe", "Lion", "Deer"...**



სწორედ ამ ორი საოცრად განსხვავებული მხატვრული მიმართულების (ქართული ფრესკა და აღმოსავლური მინიატურა) ორგანულმა შერწყმამ მოგვცა მერაბ აბრამიშვილის შემოქმედების სრულიად ორიგინალური, ინდივიდუალური სახე.

**The organic merging of these two very different artistic trends (the Georgian fresco and oriental miniatures) has produced an utterly original idiosyncratic style of Merab Abramishvili's art.**

ატენში, სოფლის ბოლოს, განცალკევებით დგას ერთ დროს ექსპედიციის ბინად აშენებული სახლი, V საუკუნის ქვევრებითა და ეზოში „ატენურის" ტალავერით.

*„ატენი ჩემთვის პირველსაწყისთან მიბრუნებაა, აქ არაჩვეულებრივად ენერგიული ვხდები და ლამის დღე და ღამე ვხატავ",* - თუმცა ახლა, ჭაბუკობის წლებისგან განსხვავებით, მხატვარი ფერდობზე შეწითლებულ ასკილის ბუჩქს, აივნის მოაჯირზე შემომჯდარ ბეღურას, ბუჩქებში გაუჩინარებულ მელაკუდას, დილის ნამზე გამოსულ ლოკოკინას აცოცხლებს...

**On the outskirts of the Ateni village, there is a house built to accommodate the expedition. It stands there separately, away from the other buildings, with the 5th century kvevris (wine vessels) and an "Atenian" grape arbor.**

***"For me Ateni is like revisiting the primal source. Here, I feel filled with energy and I paint nearly all day and night."***

**Today, however, unlike the days of his youth, the painter instills life into the reddened bush of eglantine growing on a slope, a sparrow sitting on the balcony railings, a fox disappearing in the shrubs and a snail which has crawled out in the morning dew...**